Capadecor StuccoDecor DI LUCE

დისპერსიული ფითხის მასა სარკისებრად მბზინავი ზედაპირების შესაქმნელად.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები	დისპერსიული ფითხის მასა სარკისებრად მბზინავი კედლის ზედაპირების შესაქმნელად ინტერიერში.
თვისებები	■ წყალდისპერსიული ■ ნახევრად გამჭვირვალე ■ სარკისებრი მბზინვარება დამატებითი ფენის გარეშე ■ რაციონალური და საიმედო დამუშავების ტექნიკა ■ შეფერადება მანქანურად ColorExpress-სისტემით ■ დიფუზიისა და სორბციის უნარით
შეფუთვა	2,5 ლ, 5 ლ.
ფერი	მოთეთრო-გამჭვირვალე
	შეფერადება: მანქანული შეფერადება შესაძლებელია ColorExpress-სისტემის 3D- და CaparolColor პალიტრების1300 ფერში. გვერდიგვერდ მდებარე ზედაპირების დაფარვისას შეფერადებული პროდუქტი ერთმანეთში გადაურიეთ, რათა თავიდან აიცილოთ განსხვავება ტონში. ერთი ტონალობის 40 ლ. -ზე მეტი რაოდენობის პროდუქტის მოთხოვნის შემთხვევაში, შეფერადება შესაძლებელია ქარხნული წესით. ორგანული პიგმენტებით შეფერადებული ტონალობებით (მაგ. ყვითელი, ნარინჯისფერი, წითელი) დაფარვამ, მზით გადანათებულ სივრცეებში შეიძლება გამოიწვიოს განსხვავება ტონალობებში. ამ განსხვავების საგრძნობი შემცირება შესაძლებელია დისპერსიული ცვილის StuccoDecor-ის გამოყენებით, თუმცა არა 100%-იანი აღმოფხვრა შეუძლებელია.
სიპრიალის ხარისხი	დამუშავების ტექნიკის შესაბამისად აბრეშუმისებრი-მბზინვარე ან მბზინვარე.
შენახვის პირობები	შეინახეთ გრილ, ყინვისგან დაცულ ადგილას.
ტექნიკური პარამეტრები	■ სიმკვრივე: დაახლოებით 1.0 გ/სმ^3 ■ დიფუზიის ექვივალენტი ჰაერის ფენის სისქე Sd H_2O: Sd -მაჩვენებელი: დაახლ. 0,06 მ.
ხელშემწყობი პროდუქტები	■ AkkordSpachtel fein ■ StuccoDecor Wachsdispersion (ცვილის დისპერსია)

CAPAROL

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

PII, PIII ჯგუფის მინერალური ბათქაშების, P IVჯგუფის თაბაშირის და მზა ბათქაშების, თაბაშირ-მუყაოს, თაბაშირის სამშენებლო ფილების და ბეტონის ზედაპირები ინტერიერში.

ზედაპირი უნდა იყოს სუფთა, მზიდუნარიანი და თავისუფალი განმაცალკევებელი ნივთიერებებისაგან.

ზედაპირის მომზადება

დაიგრუნტოს Capadecor DecoGrund ან Caparol-Haftgrund-ით. შემდეგ მთელი ზედაპირი დაიფაროს 1-2-ჯერ ფითხით - Caparol-Akkordspachtel fein, ხარისხის დონე Q4-მდე (სხვა მასალა არ გამოდგება). გაშრობის შემდეგ გაიშლიფოს მაქს. P200 - 240 ზომის ზუმფარის ქაღალდით. შეწოვის ხარისხის გასათანაბრებლად დაიგრუნტოს CapaSol LF-ით.

დატანის მეთოდი

StuccoDecor DI LUCE დაიტანება მთელს ზედაპირზე, თხელ ფენად. გამოიყენეთ შეძლებისდაგვარად ცოტა მასალა.

პირველი სამუშაო სვლა

- გვარდიგვერდ მდებარე ზედაპირები დაფარეთ სველით-სველზე.
- გაშრობის შემდეგ შერჩენილი ფითხი გაშლიფეთ.

მეორე და მესამე სამუშაო სვლები

- მეორე ფენა დაიტანეთ პირველის მსგავსად.
- ამ სვლაში ხდება ზედაპირისთვის მბზინვარების მინიჭება.
- სარკისებრად მბზინვარე ზედაპირის მისაღებად საჭიროა სურვილისამებრ მესამე ფენის დატანა.

ზედაპირის პოლირება

- ცოტა ხნის შეშრობის შემდეგ ხდება ზედაპირის პოლირება სალესი შპატელით.
- შპატელი ზედაპირს გადაუსვით ბლაგვი კუთხით და მსუბუქი დაწოლით.
- დამუშავების ამ ტექნიკის შედეგად მიიღებთ პროდუქტისათვის ტიპიურ, მბზინვარე ზედაპირს.

მითითება: ზედაპირის პოლირება მანქანა-დანადგარების მეშვეობით, მასთან დაკავშირებული რისკების გამო უნდა განახორციელოს მხოლოდ პროფესიონალმა. ანალოგიური მბზინვარე ეფექტის მიღება შესაძლებელია ხელით დამუშავებითაც, ზემოთ აღწერილი მეთოდით.

მითითებები დიზაინისთვის:
StuccoDecor DI LUCE-ს დატანის ტექნიკით შესაძლებელია შთამბეჭდავად მრავალფეროვანი ზედაპირების მიღება, რომლებზეც ურთიერთქმედებენ შუქის ათინათები, ფითხის მუქი ფენები და სარკისებრი ანარეკლები. დამატებითი მბზინვარე ფენის დატანა საჭირო არ არის! სამუშაო ტექნიკის ვარირებით შესაძლებელია ინდივიდუალური დიზაინის მქონე ზედაპირების მიღება.

ხარჯი

დაახლ. 80–100 მლ/მ^2/ერთ ფენაზე.
პროდუქტის ხარჯის ზუსტი განსაზღვრა მხოლოდ სასინჯი დატანით.

გამოყენების პირობები

მასალის, გარემოს და ზედაპირის ტემპერატურა:
მინიმალური ტემპერატურა: +8°C.

შრობის დრო	20° C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი მშრალია 30-60 წუთში. საბოლოოდ მშრალი და დატვირთვისუნარიანი 1-2 დღეში. უფრო დაბალი ტემპერატურის, მაღალი ტენიანობის შემთხვევაში შრობის ხანგრძლივობა იზრდება.
ხელსაწყოები	StuccoDecor DI LUCE-ს რაციონალური და ეკონომიური მოხმარებისათვის რეკომენდირებულია უჟანგავი ფოლადის შპატელის (Doppelblatt-Federspachtel) გამოყენება. შპატელი სამუშაოს დაწყებამდე გაიშლიფოს სველი ზუმფარით (მარცვლოვნება 400–600). გამოყენებისთანავე გაირეცხოს წყლით.
შენიშვნა	მითითებები მოვლისა და წმენდისათვის: StuccoDecor DI LUCE-თი დაფარული ზედაპირი შესაძლებელია გაიწმინდოს, თუ დაბინძურების ადგილს დაუყოვნებლივ მოწმინდავთ სველი ტილოთი. StuccoDecor DI LUCE-ს წყალმედეგობის გაუმჯობესება შესაძლებელია StuccoDecor ცვილის დისპერსიის გამოყენებით (იხ. ტექნიკური ინფორმაცია Nr. 905). არ გამოიყენოთ StuccoDecor DI LUCE საკვების მომზადების და ჭურჭლის რეცხვის ადგილებში, ან დაიცავით ზედაპირი შესაფერისი ღონისძიებებით, მაგ. მინის ეკრანით.

მითითებები

უსაფრთხოების ნორმები	მოარიდეთ ბავშვებს. არ ჭამოთ, დალიოთ ან მოწიოთ პროდუქტთან მუშაობის დროს. დამუშავების და შრობის პროცესში იზრუნეთ შესაბამის განიავებაზე. კანთან ან თვალებთან კონტაქტისას დაუყოვნებლივ დაიბანეთ წყლით. არ დაუშვათ კანალიზაციაში, წყალსაცავებში ან ნიადაგში მოხვედრა. საშლიფი სამუშაოებისას გამოიყენეთ მტვრის ფილტრი P2. შეიცავს: 1,2-ბენზიზოთიაზოლ-3(2H)-ონს, 2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონს. შესაძლოა გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები.
უტილიზაცია	მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებლია უტილიზირებულ იქნას როგორც წყალდისპერსიული საღებავის ნაშთი, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც გამხმარი საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნაგავი.
პროდუქტის კოდი საღებავები და ლაქები	M-DF01
შემადგენლობა	პოლიმერული აკრილის / პოლივინილაცეტატის ფისი, მინერალური შემავსებლები, წყალი, ადიტივები, კონსერვანტები (მეთილ-/ბენზიზოთიაზოლინონი).
ტექნიკური კონსულტაცია	მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები - პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ პროდუქტის უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი.

შპს კაპაროლ ჯორჯია
ალ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge